ოქმი:**ო37. 3725119001**

თარიღი:**29/04/2025**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 28 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია -მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა. ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 12 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბ. თოიძე

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების შედეგების თაობაზე ინფორმაციის მოსმენისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საჯაროქირის ადმინისტრირების შესახებ ინფორმაციის მოსმენისა და ცნობად მიღების თაობაზე..

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

გადაწყვიტეს:

1.ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4, საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების, ხოლო N 5,6 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი